ოქმი:**ო02.3722276001**
თარიღი:**03/10/2022**

ოქმი № 21

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

11.30-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. მახარაძე, ლ.კილაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.03.14.175), დაბა ნასაკრალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.29.24.126), გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ.26.06.25.408) და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ.26.15.10.363) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
მომხსენებელი: ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე
2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N 45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, ვრცლად კი მასზე ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ, ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, უშუალოდ შესატან ცვლილებაზე ინფორმაცია გააკეთა

თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ. კომისიის წევრებმა მოიწონეს განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი